დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

არქიტექტურა, ბაკალავრიატი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი -29.03.2024

დასკვნის წარდგენის თარიღი 25.04.2024

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 12

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**Error! Bookmark not defined.**

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 13

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები..... **Error! Bookmark not defined.**

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი** საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი წანაწყენიშვილი, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	**არქიტექტურა**
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Architecture
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	არქიტექტურის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება Architecture and Town Planning 0731 (0731.1.1 არქიტექტურა /Architecture)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #37, 02/03/2018
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - დაწესებულება) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“ (შემდგომში - პროგრამა) წარმოდგენილ იქნა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შეფასების მიზნით. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში მითითებული გარემოებების შესწავლის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული გასაუმჯობესებელი მხარეები. აკრედიტაციის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დაევალოს დაწესებულებას საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს საბჭოს სხდომის ოქმში (MES 8 23 0000607690, 29/05/2023) განსაზღვრული <u>რეკომენდაციები</u>:

1. რეკომენდებულია „საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობაში“ აქცენტი გაკეთდეს მხოლოდ არქიტექტურის სფეროს სპეციფიკაზე და ყველა დანარჩენი დარგი მოხსენიებული იქნას როგორც არქიტექტორული აქტივობის, მათ შორის საპროექტო-დაგეგმარებითი პროცესების, თანმდევი და საჭირო მომიჯნავე მიმართულებები;
2. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგი 3-ში ნაცვლად ჩანაწერისა -„არქიტექტურულსამშენებლო გადაწყვეტილებების მიღებისათვის“, მიზანშეწონილია დაფიქსირდეს „არქიტექტურული გადაწყვეტილებების მიღებისათვის“;
3. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგი 5, 6 და 7 -ში ნაცვლად ტერმინისა „საშუალო სირთულის შენობა-ნაგებობები“, დაფიქსირდეს „შენობა-ნაგებობები“;
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსები - სამშენებლო კონსტრუქციები I (გრუნტების მექანიკა და ფუძე საძირკვლები), სამშენებლო კონსტრუქციები II და სამშენებლო კონსტრუქციები III (ლითონის კონსტრუქციები) არ უნდა გადიოდეს პროგრამის სწავლის მე-8 და მე-9 შედეგებზე;
5. რეკომენდებულია წარმოდგენილ პროგრამას დაემატოს მინიმუმ ორი არქიტექტურული დაგეგმარების კურსი, რომელთა ფარგლებში გათვალისწინებული საპროექტო ობიექტების სირთულე თანდათან გაიზრდება არქიტექტურული დაგეგმარების ყოველი შემდგომი სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე;
6. რეკომენდებულია „არქიტექტურული მოცულობითი დაგეგმარება I (საცხოვრებელი შენობები და ნაგებობები)“-ს ნაცვლად სასწავლო კურსის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - „არქიტექტურული დაგეგმარება I (საცხოვრებელი შენობები და ნაგებობები)“, ამასთანავე გაიზარდოს აღნიშნული სასაწავლო კურსის საკონტაქტო საათები (მინიმუმ 6 სთ კვირაში) და შესაბამისი კრედიტები;
7. რეკომენდებულია „არქიტექტურული მოცულობითი დაგეგმარება II (სამრეწველო და საზოგადოებრივი შენობები და ნაგებობები) - სასწავლო პრაქტიკა“-ს ნაცვლად სასწავლო კურსის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - „არქიტექტურული დაგეგმარება II (სამრეწველო და საზოგადოებრივი შენობები და ნაგებობები) - სასწავლო პრაქტიკა“, ამასთანავე გაიზარდოს აღნიშნული სასაწავლო კურსის საკონტაქტო საათები (მინიმუმ 6 სთ კვირაში) და შესაბამისი კრედიტები;
8. რეკომენდებულია, დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, ძირითად სწავლის სფეროზე გათვალისწინებული იქნას არანაკლებ 180 ECTS კრედიტისა.
9. რეკომენდებულია პროგრამის დაშვების წინაპირობას დაემატოს აბიტურიენტების სამგანზომილებაში აზროვნების უნარის შეფასების კომპონენტი (გასაუბრება, პორტფოლიო და ა. შ.);

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

10. რეკომენდებულია არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს ჰქონდეს არქიტექ-ტორის კვალიფიკაცია;
11. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საბაკალავრო ნაშრომი“ ავტორს ჰქონდეს არქიტექტორის კვალიფიკაცია;
12. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საწარმოო პრაქტიკა“ ავტორს ჰქონდეს არქიტექტორის კვალიფიკაცია, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე;
13. რეკომენდებულია განახლდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და სახელმძღვანელო წყაროები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით (MES 4 24 0000197150 22/02/2024) შექმნილ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს (გიორგი წანაწყენიშვილი, თავმჯდომარე; თამარ გვიანიშვილი, წევრი) დაევალა სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - დაწესებულება) მიერ ცენტრში წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „არქიტექტურა“ და თანდარ-თული დოკუმენტების შესწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - აკრედიტაციის საბჭო) მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების (სხდომის ოქმი MES 8 23 0000607690, 29/05/2023) შესრულების შეფასების მიზნით, აღნიშნულზე დასკვნის შედგენა და ცენტრში წარდგენა. ექსპერტებს მიეწოდათ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა (დაწესებულების მიერ წარმოდ-გენილ იქნა ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (#06-01/141, 13.12.2023) ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 ოქტომბრის #106 დადგენილებით დამტკიცებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „არქიტექტურა“ ცვლილებების შეტანის შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამა (აღწერილობა) და მისი კომპონენტების სილაბუსები), რომლებიც ექსპერტებმა შეისწავლეს დამოუკიდებლად, შემდგომ კი მოხდინეს მოსაზ-რებებისა და მიგნებების ურთიერთგაცვლა, შეფასების შედეგების საბოლოო შეჯერება და წინამდებარე დასკვნის ჩამოყალიბება. შეფასებისათვის განხილულ იქნა მხოლოდ იმ სტანდარტებთან/ქვესტან-დარტებთან (1.1.პროგრამის მიზნები; 1.2.პროგრამის სწავლის შედეგები; 1.4.საგანმანათლებლო პროგ-რამის სტრუქტურა და შინაარსი; 1.5. სასწავლო კურსი/საგანი; 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპი-რობები; 4.1. ადამიანური რესურსი; 4.4. მატერიალური რესურსი) შესაბამისობა, რომლებსაც ეხებოდა გაცემული რეკომენდაციები. დაწესებულების მიერ სავალდებულოდ შესასრულებელი რეკომენ-დაციების შესრულების შედეგები წარმოდგენილია წინამდებარე დასკვნის აღწერა-შეფასების ნაწილში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წინამდებარე შეფასების შედეგები:

<u>I სტანდარტი</u> - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

1.1 პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.5 სასწავლო კურსი/საგანი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

<u>II სტანდარტი</u> - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

<u>IV სტანდარტი</u> - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

4.1. ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.4. მატერიალური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

უკვე განხორციელებული (აკრედიტაციის საბჭოს სხდომის (ოქმი MES 8 23 0000607690, 29/05/2023) და წინამდებარე შეფასების შედეგების შეჯამებით:

<u>I სტანდარტი</u> - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

1.1 პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.5 სასწავლო კურსი/საგანი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

<u>II სტანდარტი</u> - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.4 სტუდენტების შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

<u>IV სტანდარტი</u> - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

4.1 ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
4.4. მატერიალური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები - არ არის**
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**
  - მიზანშეწონილია ერთი არქიტექტურული დაგეგმარების კურსის დამატება.
  - მიზანშეწონილია სამგანზომილებაში აზროვნების უნარის შეფასება, გარდა ხაზვის კომპონენტისა, მოიცავდეს ხატვის კომპონენტს, რაც სრულად უზრუნველყოფს ჩანახატის საშუალებით სივრცეში მოცულობის აღქმის უნარის შეფასებას. აგრეთვე, პროგრამაში განმარტებული უნდა იყოს აღნიშნული შემოქმედებითი ტურის ჩატარების შეფასების კრიტერიუმებიც.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]** :
  არ არის.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე:**
  დასკვნის პროექტში მოცემული რეკომენდაციების პასუხად უსდ-ს მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული განმარტების გათვალისწინებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გაცემული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**
  არ არის.

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

<u>აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია:</u>

#01 - რეკომენდებულია „საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობაში“ აქცენტი გაკეთდეს მხოლოდ არქიტექტურის სფეროს სპეციფიკაზე და ყველა დანარჩენი დარგი მოხსენიებული იქნას როგორც არქიტექტორული აქტივობის, მათ შორის საპროექტო-დაგეგმარებითი პროცესების, თანმდევი და საჭირო მომიჯნავე მიმართულებები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით რეკომენდაციების შესრულების შესახებ და პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ შესაბამისი ჩანაწერი დაკორექტირდა რეკომენდაციის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის კურიკულუმი;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (#06-01/141, 13.12.2023) ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 ოქტომბრის #106 დადგენილებით დამტკიცებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „არქიტექტურა“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

<u>აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები:</u>

#02 - რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგი 3-ში ნაცვლად ჩანაწერისა -„არქიტექტურულსამშენებლო გადაწყვეტილებების მიღებისათვის“, მიზანშეწონილია დაფიქსირდეს „არქიტექტურული გადაწყვეტილებების მიღებისათვის“.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით რეკომენდაციების შესრულების შესახებ და პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ შესაბამისი ჩანაწერი დაკორექტირდა რეკომენდაციის შესაბამისად.

#03 - რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგი 5, 6 და 7-ში ნაცვლად ტერმინისა „საშუალო სირთულის შენობა-ნაგებობები“, დაფიქსირდეს „შენობა-ნაგებობები“.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით რეკომენდაციების შესრულების შესახებ და პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ შესაბამისი ჩანაწერი დაკორექტირდა რეკომენდაციის შესაბამისად.

#04 - რეკომენდებულია სასწავლო კურსები - სამშენებლო კონსტრუქციები I (გრუნტების მექანიკა და ფუძე საძირკვლები), სამშენებლო კონსტრუქციები II და სამშენებლო კონსტრუქციები III (ლითონის კონსტრუქციები) არ უნდა გადიოდეს პროგრამის სწავლის მე-8 და მე-9 შედეგებზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით რეკომენდაციების შესრულების შესახებ, პროგრამის კურიკულუმით და შესაბამისი სილაბუსებით დასტურდება, რომ განხორციელდა ცვლილებები რეკომენდაციის შესაბამისად - საგანმანათლებლო პროგრამასა და სასწავლო კურსების „შენობათა ფუძე საძირკვლები“, „რკინა-ბეტონის კონსტრუქციები“ და „ლითონის კონსტრუქციები“ სილაბუსებში გაკეთდა შესწორებები და აღნიშნული სასწავლო კურსები აღარ გადიან სწავლის მე-8 და მე-9 შედეგებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის კურიკულუმი;
- მითითებული სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (#06-01/141, 13.12.2023) ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 ოქტომბრის #106 დადგენილებით დამტკიცებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „არქიტექტურა“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

<u>აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები:</u>

#05 - რეკომენდებულია წარმოდგენილ პროგრამას დაემატოს მინიმუმ ორი არქიტექტურული დაგეგმარების კურსი, რომელთა ფარგლებში გათვალისწინებული საპროექტო ობიექტების სირთულე თანდათან გაიზრდება არქიტექტურული დაგეგმარების ყოველი შემდგომი სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით რეკომენდაციების შესრულების შესახებ, პროგრამის კურიკულუმით და შესაბამისი სილაბუსებით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა მხოლოდ ერთი დაგეგმარების კურსი - არქიტექტურული დაგეგმარება III (საზოგადოებრივი და სამრეწველო შენობები და ნაგებობები), მიზანშეწონილია კიდევ ერთი არქიტექტურული დაგეგმარების კურსის დამატება.

#08 - რეკომენდებულია, დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, ძირითად სწავლის სფეროზე გათვალისწინებული იქნას არანაკლებ 180 ECTS კრედიტისა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით რეკომენდაციების შესრულების შესახებ და პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ განხორციელდა ცვლილებები რეკომენდაციის შესაბამისად. ამ მიზნით, ამოღებული იქნა დამატებითი პროგრამის / თავისუფალი კომპონენტები 60 კრედიტის მოცულობით და პროგრამას დაემატა ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის კურიკულუმი;
- მითითებული სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (#06-01/141, 13.12.2023) ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 ოქტომბრის #106 დადგენილებით დამტკიცებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „არქიტექტურა“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

მიზანშეწონილია ერთი არქიტექტურული დაგეგმარების კურსის დამატება.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ

კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

<u>აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები:</u>

#06 - რეკომენდებულია „არქიტექტურული მოცულობითი დაგეგმარება I (საცხოვრებელი შენობები და ნაგებობები)"-ს ნაცვლად სასწავლო კურსის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - „არქიტექტურული დაგეგმარება I (საცხოვრებელი შენობები და ნაგებობები)", ამასთანავე გაიზარდოს აღნიშნული სასაწავლო კურსის საკონტაქტო საათები (მინიმუმ 6 სთ კვირაში) და შესაბამისი კრედიტები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით რეკომენდაციების შესრულების შესახებ, პროგრამის კურიკულუმით და შესაბამისი სილაბუსებით დასტურდება, რომ განხორციელდა ცვლილებები რეკომენდაციის შესაბამისად.

#07 - რეკომენდებულია „არქიტექტურული მოცულობითი დაგეგმარება II (სამრეწველო და საზოგადოებრივი შენობები და ნაგებობები) - სასწავლო პრაქტიკა"-ს ნაცვლად სასწავლო კურსის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - „არქიტექტურული დაგეგმარება II (სამრეწველო და საზოგადოებრივი შენობები და ნაგებობები) - სასწავლო პრაქტიკა", ამასთანავე გაიზარდოს აღნიშნული სასაწავლო კურსის საკონტაქტო საათები (მინიმუმ 6 სთ კვირაში) და შესაბამისი კრედიტები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით რეკომენდაციების შესრულების შესახებ, პროგრამის კურიკულუმით და შესაბამისი სილაბუსებით დასტურდება, რომ განხორციელდა ცვლილებები რეკომენდაციის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის კურიკულუმი;
- მითითებული სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (#06-01/141, 13.12.2023) ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 ოქტომბრის #106 დადგენილებით დამტკიცებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „არქიტექტურა" ცვლილებების შეტანის შესახებ.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

<u>აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია:</u>

#09 - რეკომენდებულია პროგრამის დაშვების წინაპირობას დაემატოს აბიტურიენტების სამგანზომილებაში აზროვნების უნარის შეფასების კომპონენტი (გასაუბრება, პორტფოლიო და ა. შ.).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით რეკომენდაციების შესრულების შესახებ და პროგრამის კურიკულუმით დასტურდება, რომ განხორციელდა ცვლილებები რეკომენდაციის შესაბამისად. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაემატა ჩანაწერი: „საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც ერთიან ეროვნული გამოცდებამდე გავლილი ექნება ბსუ-ს შემოქმედებითი ტური ხაზვაში“, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სამგანზომილებაში აზროვნების უნარის შეფასება, გარდა ხაზვის კომპონენტისა, მიზანშეწონილია მოიცავდეს ხატვის კომპონენტს, რაც სრულად უზრუნველყოფს ჩანახატის საშუალებით სივრცეში მოცულობის აღქმის უნარის შეფასებას. აგრეთვე, პროგრამაში განმარტებული უნდა იყოს აღნიშნული შემოქმედებითი ტურის ჩატარების შეფასების კრიტერიუმებიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის კურიკულუმი;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (#06-01/141, 13.12.2023) ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 ოქტომბრის #106 დადგენილებით დამტკიცებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „არქიტექტურა“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

რეკომენდაციები - არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია სამგანზომილებაში აზროვნების უნარის შეფასება, გარდა ხაზვის კომპონენტისა, მოიცავდეს ხატვის კომპონენტს, რაც სრულად უზრუნველყოფს ჩანახატის საშუალებით სივრცეში მოცულობის აღქმის უნარის შეფასებას. აგრეთვე, პროგრამაში განმარტებული უნდა იყოს აღნიშნული შემოქმედებითი ტურის ჩატარების შეფასების კრიტერიუმებიც.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

<u>აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები:</u>

#10 - რეკომენდებულია არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს ჰქონდეს არქიტექ-ტორის კვალიფიკაცია.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ და პროგრამის კურიკულუმის თანახმად, პროგრამას დაემატა მესამე ხელმძღვანელი - მარიამ ღომიძე, ასისტენტ-პროფესორი, არქიტექტურის დოქტორი.

#11 - რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საბაკალავრო ნაშრომი“ ავტორს ჰქონდეს არქიტექტორის კვალიფიკაცია.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ, კურიკულუმის და „საბაკალავრო ნაშრომის“ სილაბუსის თანახმად, სილაბუსის ავტორად მითითებულია 4 პირი (ერთი -არქიტექტურის დოქტორი; სამი - არქიტექტორი).

#12 - რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საწარმოო პრაქტიკა“ ავტორს ჰქონდეს არქიტექტორის კვალიფიკაცია, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ, კურიკულუმის და „საწარმოო პრაქტიკა“ სილაბუსის თანახმად, სილაბუსის ავტორად მითითებულია 3 პირი (სამივე - არქიტექტორი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის კურიკულუმი;
- მითითებული სილაბუსები;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (#06-01/141, 13.12.2023) ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 ოქტომბრის #106 დადგენილებით დამტკიცებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „არქიტექტურა“ ცვლილებების შეტანის შესახებ.
- პროგრამის ახალი ხელმძღვანელის, „საბაკალავრო ნაშრომისა“ და „საწარმოო პრაქტიკის“ ავტორების CV და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის.

შეფასება:

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

<u>აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია:</u>

#13 - რეკომენდებულია განახლდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და სახელმძღვანელო წყაროები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაციის თანახმად: „რეკომენდაციის შესაბამისად განახლდა და შეივსო ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალი შემდეგ სასწავლო კურსებში: „არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლები I“, „არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლები II“, „არქიტექტურული კომპოზიცია“, „ინტერიერის დიზაინი“, „რეკონსტრუქცია-რესტავრაცია“, „ქალაქმშენებლობითი და სივრცითი დაგეგმარების კანონმდებლობა“, „არქიტექტურული დაგეგმარება I (საცხოვრებელი შენობები და ნაგებობები)“, „ფერი და განათება“, „არქიტექტურული დაგეგმარება II (საგანმანათლებლო შენობები და ნაგებობები)“, „ქალაქგეგმარება I“, „ქალაქგეგმარება II“, „ეკოლოგია და ენერგოეფექტურობა არქიტექტურაში“, „ლანდშაფტური არქიტექტურა“, „არქიტექტურული დაგეგმარება III (საზოგადოებრივი და სამრეწველო შენობები და ნაგებობები)“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სილაბუსები;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;

- სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (#06-01/141, 13.12.2023) ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 ოქტომბრის #106 დადგენილებით დამტკიცებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „არქიტექტურა“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში): არ არის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

„არქიტექტურა“, ბაკალავრიატი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☐	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☐	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - გიორგი წანაწყენიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - თამარ გვიანიშვილი